№ 313. სამშაბათი, 16 სექტემბერი. 1886-1887 სამშაბათი, 16 სექტემბერი, **№ 313.**

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ იპირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ოთხი
ქართული რომანსები
მუსიკა
ი. კარგარეთელისა
გამოცემა
კ. მესხისა

რომანსები დაბეჭდილია მშვენიერად და შესაფერის სურათებით სქელ ქაღალდზე.

დაიბეჭდა და იყიდება
ოთხი ქართული რომანსი
მუსიკა ი. კარგარეთელისა
კოტე მესხის გამოცემა

1) „მშვენიერთა ხელმწიფავ“—25 კ.
2) შევიშრობ ცრემლსა“—25 კ.
3) „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“ 25 კ.
4) „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“ 25 კ.

იყიდება ტფილისში ყველა მუსიკალურ მაღაზიებში და წ.-კ. საზ. წ. მაღაზიაში ქუთაისში ჭილაძეთა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში

ცნობის ფურცლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ
„ცნობის ფურცლის“ ხელის მომწერთ ოთხივე რომანსი, ერთი მანათის მაგიერ დაეთმობათ სამ აბაზად.
ფასი შეიძლება გამოიგზავნოს რედაქციაში ფოსტის მარკებითაც. (30—4)

ნახმარი
ველოსიპედი
(თვით-მავალა)
შემთხვევით იყიდება
ფრიად იაფად
მსურველთ მიჰმართონ თავად-აზნაურთა ქარვასლის მუშებს.

!Замѣчательно дешево!
Продается по случаю
ВЕЛОСИПЕДЪ
Спросить у **муши Илико** въ Караванъ-Сараѣ Грузинскаго Дворянства.
(12—7)

ქართველთ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალო სკოლა
გადავიდა ახალს შენობაში:
ბარიათინსკ. ქ. № 10
მიიღება ყოველ-გვარი ხელ-საქმე ტანისამოსისა და კაბების ჭრა-კერვა
საქმეს დროზე და სუფთად ასრულებენ
ფასები ზომიერია.

Школа кройки и шитья
О-ва грузинскихъ женщинъ
Барят. ул. д. Федорова № 10.
Пріемъ заказовъ. Исполненіе работъ оккуратное. Цѣны умѣренныя
(8—1)

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება

აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლისა თებერვლიდამ გაიმართა დრო გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა სა[illegible] და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.

ფასი შემ[illegible] როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით 5 ს. ნაშუად.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით დღისით 1 სათ.
ბათომში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით საღ. 10 საათ.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით დღ. 1 საათ.
ფოთიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ოდესაში მიდის—შაბათობით და სამშაბათობით დილის 10 საათ.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში,

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:

ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ა. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილის.

Высочъ Утвер. О-во Азовск. Пароходства

Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.

Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**=1. Бр. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**=Я. М. Варшавскаго и **Поти**=А. Д. Гугушвили.
(50—46)

გამოვიდა და იყიდება
ახლად შეკვეთილი
სურათებიანი ფოსტის ქაღალდი
(აქვს ფერადად ამირანის სურათი)
ფასი თითო თაბახისა თითო კაპეიკი
ასობით 70 კაპ.
ვინც ერთბაშად 500 თაბახს იყიდის, იმას 3 მან. დაეთმობა.

უმთავრესი საწყობი: ქ. ბათომში მიხეილ გაჩეჩილაძესთან და დ. ყვირილაში ილია მაღლაკელიძესთან. მსურველთ შეუძლიანთ ფას-დადებითაც გამოიწერონ.
г. Батумъ. М. Гачечиладзе. (15—11)

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით **ივ. მაჭავარიანისა**
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაეთმობათ. (20—14)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.

ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*

ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—189)

ქართული თეატრი
კვირას, 21 სექტემბერს
ქართული დრამატიულ არტისტ. წარმოდგენილ იქმნება.

საქველ მოქმედო საგნით
„ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“
კომ. 3 მოქ. გადმ. ვალ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ბნი ჩერქეზიშვილისა, საყვარელიძისა, ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე.

დასასრულ დივერტისმენტი
მიიღებენ მონაწილეობას განდეგილი, გრ. აბაშიძე, არ. ახნაზაროვი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით

ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлсиъ, противъ памятн. Воронцову.

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძის
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ანდერსენის სახ. № 100.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловск. ул. № 100.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полными пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для учениц. гимназіи. Обученіе музыкѣ. (150—4)

კურსი **15** მანათად
გასწავლი ფოტოგრაფიულ ხელობას
(სურათების გადაღებას)
მსურველთ მიმართონ კავკასიის საამხანაგო ათთიაქის სავაჭროში, ერევნის მოედანზე:
ელიზბარ ჯაჯანაშვილს
იქვე იყიდება ყოველ-გვარი მოწყობილება და მასალები ფოტოგრაფიისათვის. (3—2)

---

100 მანათად
ახალი ქურქი მანდილოსნისათვის
ქურქი ძვირფასი რამ არის, „ბობრის“ საყელო და სხვ.
მყიდველთ მიჰმართონ: ნორაშენის ქუჩა, სახლი მელიქ-ნუბაროვისა (ნორაშენის ეკლესიის პირდაპირ მე-5 ნაწილში).

Продается новая дамская
ШУБА
на бобровомъ воротникѣ и мѣховой подкладкѣ (Норашенская ул. д. Мелик-Нубарова (противъ Норашенской церкви).
(10—2)

За 5 рублей
въ мѣсяцъ **учитель** созваніемъ приготовляетъ въ 1 классъ, въ остальные—по соглашенію. Видѣть отъ 3 до 6 ч. вечера. *Михайловская ул. въ оградѣ Армянской церкви.* верхній этажъ, близъ памят. Воронцову.

6 მანათად
თვეში გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს ბავშვებს პირველ კლასში. [illegible] 3—6 საათამდე [illegible] ეკლესია, [illegible] ლი, ვორონც[illegible]
[illegible]

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.

შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერატი.**

დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, ქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია.**

Лѣчебница С. В. *Топурія* въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“

რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

14 სექტემბერი

ვენა. მინისტრი — პრეზიდენტი ბადენი და დეპუტატი გერმანელი ვოლფი ხმალში გავიდნენ, ბადენი დაჭრილია ხელში. ხმალში გასვლის მიზეზად ის იყო, რომ ვოლფმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ბადენის პალატის კრების დროს

პანჯორა. ღენერალ ჯეფერისმა სამი დღის წინედ გაანადგურა რამოდენიმე სიმაგრენი მტრებისა, გუშინ ქალაქი თანგი დააქცია. მტრები ყოველივე ამას მთის წვეროებიდან დასცქეროდნენ.

კილი. გერმანეთის პირველი ჯავშნიანი გემი უკვე ზღვაში ჩაუშვეს და ,,თავადი ბისმარკი‘‘ უწოდეს.

ლონდონი. საეჭვოა, რომ ინგლისის ჯარებმა ახლად გაიწიონ სუდანში, სანამ ეგვიპტელთა ჯარი არ მოეშველება. ხალიფი აშენებს და აწყობს დიდს სიმაგრეს ომდურმანთან, სადაც მისი ჯარი 35000 კაცზე მეტი თავს მოიყრის.

სიმლა. ინგლისელების გამარჯვებამ ძრიელ დაასუსტა გადეს მოლლის ჯარი. მოლლა გაიქცა ჯარებით დასავლეთისაკენ.

განგუსთან გაუფუჭებიათ დეპეშის მავთულები. ხაიბერის სიკეცროს მცხოვრებთა შორის ისევ არეულობაა. სეხედ აყბარი წავიდა ავღანის მთავარ სპასალართან იმ განზრახვით, რომ ინგლისის წინააღმდეგ წააქეზოს.

ვენა. მინისტრი პრეზიდენტის ავადმყოფობა ისეთია, რომ საქმობას ვერ უშლის.

⁂

ახალი ამბავი

⁂ 17 სექტემბრისათვის დანიშნული ქართული წარმ[illegible] 21 სექტემბრისათვის [illegible] ული. [illegible] 1897 [illegible]

... სის სინოდის მიერ დამტკიცებულის პროგრამმის ძალით, საქართველოს საეგზარხოსო სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასსებში რუსული ენის სახელმძღვანელოდ დანიშნულია ბ. ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნი „Русское Слово“, რომელიც თავის დროზე ერთობ შექებული იყო რუსულ პერიოდიულ გამოცემებში. ამ წიგნის პირველ ნაწილში, სხვათა შორის, მოთავსებულია, ამ გვარი განყოფილება: „Урокъ русскаго языка на основѣ рисуночной наглядности“. ამ გაკვეთილებზე რუსულის ახლად მოსწავლე ქართველ ბავშვებს ძრიელ უადვილდებათ შესწავლა. ჩვენის აზრით, რუსული ენის სწავლების საქმე ერთი ორად უფრო უკეთ წავიდოდა, რომ ხსენებულ განყოფილებაში მოთავსებული სურათები გარდაქმნილ იქმნენ კედლის სურათებად, რომ მასწავლებელმა უფრო მარჯვეთ შეასწავლოს ბავშვებს ეს სურათები ევრისტიკულის კითხვების საშუალებით.

მასწავლებელი.

⁂ **ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სამკერვალო** გადასულა ახალს შენობაში ბარიატინსკის ქუჩაზე ფეოდოროვის სახლებში № 10. სახელოსნო კისრულობს ყოველ გვარ ხელ-საქმეს, ჭრა-კერვას ქალების ტანისამოსებისას და სხვა. ფასი ხელ-საქმობისა მეტად იაფია და ერთი სამად უფრო იაფად ჯდება, ვიდრე სხვა სახელოსნოებში. იმედია, ჩვენებური ქალები შემწეობას აღმოუჩენენ ახლად დაარსებულ სახელოსნოს სხვა-და-სხვა შესაკერის შეკვეთით.

⁂ **პოლონური ენა პოლონიის გიმნაზიებში.** „სან. პეტ. ვედომ.“-ის სიტყვით მთავრობის განკარგულებით დღეიდან პოლონიის ყველა გიმნაზიებში შემოღებული იქმნება პოლონური ენის სწავლება, როგორც საგნისა. დღემდე პოლონურს ენას გიმნაზიებში საქალებოში თუ ვაჟებისაში ასწავლიდნენ გაკვეთილების დაწყებამდე ან მის შემდეგ.

⁂ **ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რევიზიის შედეგს** ყველანი გულის ფანცქალით მოელიან. ეხლა, როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ.“ იუწყება, ბანკის გამგე კ. ჩიკვაიძე ამ რევიზიის გამო პეტერბურღში მიემგზავრება, რომ საფინანსო სამინისტროს სთხოვოს დააჩქარებინოს არჩევანების დანიშვნა, რომელიც აგერ ხუთიოდე წელიწადია, რაც არ ყოფილა. ღმერთმა უსმინოთ!

⁂ **ჩვენებური შავი-ქვის ბედ-იღბალი** საცაა ავად თუ კარგად გადაწყდება. ამ დღეებში შავი-ქვის მწარმოებელთა წარმომადგენლები შეიყრებიან და საერთო რასმე შეიმუშავებენ. მას შემდეგ თავმჯდომარე შავი-ქვის მწარმოებელთა ამხანაგობისა გიორგი ზდანოვიჩი პეტერბურღში გაემგზავრება, რათა იშუამდგომლოს სამინისტროში, რომ რკინის გზის ბაჟი ფუთზე ორი შაურიდან სამს კაპიკამდე დაუკლონ.

⁂ **[illegible] სასწავლებლის ზედამხედველი,** როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“ ატყობინებენ კიდევ ხუთ წელიწადს დარჩებაო ამ თანამდებობაზე.

⁂ **სათავად-აზნაურო არჩევანების გამო.** როგორც მკითხველებმა უწყიან ამ წლის მაისის თავად-აზნაურთა არჩევანები ზოგი დამტკიცდა და ზოგი არა. ეხლა, როგორც ამბობენ, კრების გარდაწყვეტილებანი და გუბერნიის წინამძღოლის არჩევანის დამტკიცება პეტერბურღში გაუგზავნიათ შინაური საქმეთა სამინისტროში.

⁂ **ჩვენი ახალგაზრდა ექიმი.** მ. გედევანიშვილი დღეს საღამოზე წაიკითხავს საინტერესო მოხსენებას საექიმო საზოგადოების სხდომაზე.

⁂ **ნავთიანი მიწების ტაცობის საქმე,** რომელმაც ამ ოთხიოდე თვის წინეთ მთელი კავკასიის მწერლობა ააყაყანა, გაირჩევა ზეგ სასამართლო პალატაში. ხაზინა ედავება ზოგიერთს ,,სახელოვან‘‘ სოვდაგრებს.

⁂ **ტფილისის საყასბოს საქმე.** 12 სეკტემბერს ტფილისის გუბ. სამოქალაქო საშქოში მომხდარმა კრებამ მოიწონა ქალაქის გამგეობის დადგენილობა ნახევარ მილლიონის სესხებაზედ ობლიგაციებით ქალაქის საყასბოს ასაშენებლად. კრებამ დაადგინა, რომ ეს შუამდგომლობა დასამტკიცებლად წარედგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

⁂ **მოქალაქეთა დეპუტატების არჩევანების გაუქმება.** 12 სეკტემბერს საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საბჭომ განიხილა რა საჩივარი ტფილისელ მოქალაქეებისა დეპუტატების არჩევანის უწესოებაზედ, დაადგინა: რადგან არჩევანები უკანონოდ და უწესოთ მოხდარა, ამის გულისთვის მოქალაქეთა დეპუტატების არჩევანი გაუქმდეს. ზოგიერთ ვაჭრების საჩივარზედ, რომ სამიკიტნოებზედ ბევრი ხარჯია გაწერილი ქალაქის სასარგებლოთო, საბჭომ არ შეიწყნარა.

⁂ **დ. კეზელის საქმე.** როგორც შევიტყეთ, დავით ივანეს ძე კეზელის საქმეზე ბრალმდებელი აპირებს განსაჩივრებასო (პროტესტს). ხოლო თავის მხრივ თვით კეზელსაც შეაქვს თხოვნა სამოსამართლო პალატაში საჩივარი საოლქო სასამართლოს განჩინებაზეო.

⁂ **ფრიად საგულისხმიერო დავა.** როგორც მკითხველებს მოეხსენება, საქართველოს სამხედრო გზაზედ ეტლებთან დადიან ეგრედ წოდებული კონდუქტორები, რომელსა სასარგებლოდ მგზავრები იხდიან კაპიკ ნახევარს თვითო ვერსზე. ეს ფულები კანონით ეკუთვნის კონდუქტორებს, მაგრამ გზის მოიჯარადრენი სლივიცკი და ბეგთხანოვი თურმე ამ ფულს კონდუქტორებს არ აძლევენ, ხოლო თვითეულს ჯამაგირს აძლევდენ ორ ორ თუმანს თვეში და კონდუქტორებისათვის დანიშნულ ფულს ჯიბეში აედებდენ. ეხლა 23 კონდუქტორს საჩივარი შეუტანიათ ხსენებულ მოიჯარადრეებზე და თვითეული მათგანი ედავება 3600 მან. 1887 წლის 20 ოკენისთან დღევანდლამდე. საერთოდ ამ დავის ჯამი შეადგენს 100,000 მანათამდე. ეს საგულისხმიერო დავა გუშინ გაირჩა საოლქო სასამართლოში და განაჩენს ამ თვის 23 გამოაცხადებენ.

⁂ **მცირე წლოვან დამნაშავეთა თავ-შესაფარის კურთხევა.** გუშინ ოქროყანაში აკურთხეს მცირე წლოვან დამნაშავეთა თავ-შესაფარი. კურთხევაზე დაესწრო დიდ-ძალი სტუმრები და სხვათა შორის ბ-ნი გუბერნატორი ფ. ა. ბიკოვი, უფროსი თავ-მჯდომარე პალატისა გორსკი და სხვანი.

⁂ **დანიშნული კრება.** 20 სეკტემბრისთვის დანიშნულია „ქართული დრამატიული საზოგადოების“ კრება ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში.

⁂ **ქერის ფასის დაწევა** რადგან უკანასკნელ ხანში ტფილისის ბაზარში ბევრი ქერი შემოდის ფასმა 70 კაპიკიდამ 58—57 კაპიკამდე დაიწია ფუთზე. ფუთი ფქვილისა იყიდება 1 მანათიდამ ექვს აბაზამდე.

⁂ **უყურადღებობა ქალაქის გამგეობისა და პოლიციისა.** ახალ არსენალის № 40 სახლი ძალიან ცუდს და საშიშ მდგომარეობაშია: აღმოსავლეთის მხარის ქვემოთა სართული ჩამოქცეულა და ზემოთა სართული ამ ხანად ბოძებით არის შემაგრებული. სახლის ახლოს გამუდმებით აუარებელი ხალხი ირევა (იქვე დუქანია გამართული) და მოსალოდნელია ოდნავი ბოძის შენძრევისაგან კედელი [illegible] ჩამოგრეს და უბედურობა დაახწიოს, გასაკვირველია, რატომ [illegible] აქცევენ ამ გარემოებას პოლიცია, ან ქალაქის გამგეობა?

⁂ **გახშირებული ციებ-ცხელება.** საზოგადოდ ამ უკანასკნელ ხანებში ყველგან უჩივიან ციებ-ცხელებას. ზოგიერთ სოფლებში მაგ. ქართლ-კახეთში არც ერთი ოჯახი არ მოიპოვება, რომ ციებ ცხელებით არ იყოს ვინმე ლოგინათ ჩავარდნილი. ამ ჟამად ციებ ცხელება მეტის მეტად გავრცელებულია, თურმე, რკინის გზის მოსამსახურეთა შორის, მეტადრე ბაქო ტფილისის ლიანდაგზე.

⁂ **ვალის გაგრძელება ვალის გადასახდელად.** ფინანსთა სამინისტრომ ტფ. სახაზინო პალატას მოსწერა. რომ ვალი იმ ვალის გადახდაზე, რომელიცა სძევს თუშებზედ, წოველებზედ და პირიქითელებზედ კობიაშვილის მამულის შესყიდვის გამო, გაგრძელდეს ხუთი წლით, მხოლოდ ამ ხანში უნდა მიეთვალოს თავნს 6%.

⁂ **მედუქნეების საჩივარი.** მედუქნეებმა ს. კვიკვიძემ, იაგორ ბარხუდაროვმა და სხვებმა მთავარ მართებელს მიართვეს თხოვნა, რომელშიც თხოვდენ, რომ ქალაქის გამგეობა სამიკიტნოებზედ ბაჟის გასაწერად უნდა სარგებლობდეს სამიკიტნოების არსებულის რაოდენობით და არა სამიკიტნოების იმ რიცხვით, რომელსაც გამგეობა დაადგენს ხოლმე სავარაუდოთ წლის თავში, რომ ვითომ მომავალი წლისთვის ამდენი დუქანი გაიხსნებაო. მთავარ-მართებლის თანაშემწემ ა. ფრეზემ ეს თხოვნა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას წარწერით, რომ გამგეობას ჰქონდეს ეს თხოვნა სახეში სამიკიტნოების საშუალო ბაჟის გამოკვლევის დროსო.

⁂ **ვაჭრობის გაწეს-რიგება ბაზრობის დროს.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა რომ 14 სეკტემბრიდამ იარმუკაში ვაჭრობა უნდა შემდეგი სახით გაწეს-რიგდეს: მთელი მოედანი დაყოფილია ნაწილ-ნაწილ ადგილის და ვაჭრობის დაკვალით, საიდან არშინ ადგილზედ, რომელზედაც შესაფერი გადასახადი უნდა გამოერთვას ვაჭრებს; ვაჭარი უნდა ჩაეწეროს თავის დროზედ სად და რამდენი ადგილი უნდა სავაჭროდ. გამგეობას აზრადა აქვს შემდეგში [illegible] ფორმა დააწესოს.

⁂ **ქალაქის ხელოსანთა საყურადღებოდ.** ლირს-სახსოვარმა მეცხრამეტე საუკუნემ ხელოსანთაც შეაგნებინა ყველასაგან აბუჩად აგდება, თავში კაკუნი, თავისი ოფლით სხვისი გამდიდრება და თავის-თავის გალატაკება.—ესენი ყველა კარგად ესმის, მხოლოდ ის კი, როგორც ლუარსაბ თათქარიძეს იატაკზედ გაშხლართულს, სიზმრისაგან გაბრუებულს, რომელიც ერთ წვეთება-წამებაში იყო და ვინც თავის-თავისათვის ანგარიში ვერ მიეცა. ჩვენ ხელოსნებიც სწორეთ იმას დავემსგავსებივართ, სულითა და გულით გვინდა რაღაც და ვერა მოგვიგვარებია-რა, სათქმელი გვაქვს რამე და ძალა არ შეგვწევს [illegible], გაკეთება გვინდა რიამე და გაკეთება [illegible] ვისმე რამე და თხოვნა ვერ გაგვიბედნია; საზოგადო საქმეში სულითა და გულით შესვლა გვინდა და ფეხები უკანა გვრჩება!...

თუ ასე არ არის, მაშ რა არის, რომ პირივით ვერიდებით საშვილიშვილო საქმეს, რომელიც უკვე სამი თვე ხდება, რაც კეთილ საიმედო და განვითარებულ პირთ უკისრიათ ჩვენი[illegible] და... სირცხვილი ჩვენთვის, დღემდის ასი კაციც არ ჩავწერილვართ!..

სად უნდა ვეძებოთ ამისი მიზეზი? პირველი მიზეზი უკვე ზევითვე დავასახელე და არ შემიძლია, მეორე და მესამე მიზეზად ამ [illegible] წარსული წლის (უცოდინარ) ხელოსანთა ამხანაგობას არ მივაწერო. პირველი ამხანაგობა დურგლებისა ორად იყო გაყოფილი: ერთი ამხანაგობა თავ-წვრილა მოგროვილი ფულით ბანკის ბილეთებსა ყიდულობდა, ეტყობა იმ განზრახვით ერთბაშათ გამდიდრებულიყო (ბევრმა მუშაობა არც უკლო); მეორენი იმ აზრისანი იყვნენ: რამდენიმე ასი თუმანი შეეკრიბნათ და უძრავი მამული ეყიდნათ, გაეშენებინათ სახელოსნო-საწყობები, ეშრომნათ და თავიანთი ნაშრომი თავათვე გაენაწილებინათ; მესამე იმ აზრისა იყო, რომ შეგროვილი ფულით ეყიდნა მამული, ანუ იჯარით აელო და თვითვეული ამხანაგობისათვის რიგით აეშენებინა სახლები. მეოთხე ამხანაგობის აზრი ის იყო, რომ თავ-წვრილა მოგროვილი ფულით, ყოველ დღიურ მოთხოვნილებათა სავაჭრო დუქანი გაეხსნა, სადაც პირობა იყო, ყოველ წევრთ ამხანაგობისას იქიდგან ევაჭ-

რათ, სანამ თანხა გაიზრდებოდა, როდესაც თანხა საკმაო ფულად გადაიქცეოდა, მაშინ ყველა ხელოსანთა საწყობი მასალის განყოფილებად უნდა გაეხსნათ, სადაც ყველა ხელოსანთა ნამუშავარს მიიღებდა ამხანაგობა გასასყიდად. ეს ამხანაგობა მოატყუა წესდების ერთმა მუხლმა.

სადაც უნდა ერთი მეორეს დაჰხმარებოდნენ ერთი თუმნიდგან ორი თუმნით გაჰჭირვებაში, ორის თავდებით ერთის ან ორის თვის ვადით. რაკი გაიგეს ეს ასეთი, დიდი და პატარა მოაწყდა ჯერ არ დაარსებულ დახლს და ვინც გაიტანა, შემოტანა აღარ ინება. ეს ერთი; მეორე ცოდვა კიდევ ის იყო ამ ამხანაგობის გამგეობისა, რომ 1895 წ. 11 სექტემბერს, კრწანისის ველზედ ფოტოგრაფიული სურათის გადაღება იკისრეს იმ განზრახვით, რომ სურათი გაეყიდებოდათ და ამხანაგობას სარგებლობას მოუტანდა რასმე; ეს სურათები შვიდ თუმნამდი ფული დაუჯდათ და გაყიდვით-კი ვერა გაყიდეს-რა; პირობისამებრ ეს ზარალი მოთავე პირებს უნდა ეზღოთ, მაგრამ ამ ყმაწვილებმა არ ინებეს და ამხანაგობამ გული აიცრუა, ეს ზარალი გაიყვეს თავიანთ შორის და დაიშალა კიდეც ამხანაგობა.

აი ისტორია გამოუცდელობისა, უსწავლელობისა და თუ გინდა დაუდევრობისაც. პირველმა ამხანაგობამ ამაზედ მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინა. ამხანაგობა გადიხატა იმ აზრით, რომ ერთმანერთს აღარ ულალატებით [illegible] ოურმე, ჩვიდმეტ—თვრამეტი თუმანი დიახარჯა, ამას ვინა ჩივის; საქმე ი[illegible]რის, რომ თავის[illegible] გამგეთ და დღემდის ანგარიში არ აძლევდენ ამხანაგობას. დანარჩენი ამხანაგებისა არა ვიცი-რა, მაგრამ ეს ორი ამხანაგობის ამბავი საკმარია საბუთად იმისა, რომ დღეს წესიერად დაწყობილ საქმეს, მცოდნეთა ხელშიაც უკან იწევენ და კანტიკუნტათ ეწერებიან წევრად.

ღმერთმაც იცის და კაცმაც, აქ მოსარიდებელი არავის არა აქვს-რა, მზესავით ცხადათ გამოიყურება საქმე და ჩვენც მივყვეთ, თუ კაცები ვართ და ქუდები გვახურავს. მე მიკვირს რკინის გზის მომუშავე ხელოსანთ რათ მოუყრუებით ყური, რატომ მოსვლით მაინც არ მოდიან და საქმის ვითარებას არ იგებენ. ჩვენ იმედი გვქონდა, მარტო იქიდგან ორას სამასი კაცი ჩაეწერებოდა, ან რას ჰფიქრობს ადელხანოვის ქარხანაში მომუშავე მუშა-ხელოსანი, რომელიც წყეულ ჩექმას შვიდ შაურად ჰკერავს. მე, ვგონებ ყველაზედ უწინ იმათ უნდა მიაქციონ ხოლმე ამ გვარ ამხანაგობას ყურადღება. სადღა სძინავთ ალიხანოვ-იარალოვის, პაპოვიჩის და კარაპეტოვის მუშა-ხელოსნებს? გაითვალისწინონ აწმყო და მომავალი, თუ რა მოელის თუ თავის-თავისათვის თავათვე არ იზრუნეს. პროვინციელთა ხელოსნები სად გაურბიან საერთო, საძმო და ადვილათ გადასახდელ ძირის ფულს ათ თვეში ცამეტ მანეთს? გამოიღეთ ყურებიდგან ბამბა, თვალები გამოიფშვნიტეთ, კმარა ამოდენა ძილი, ამოდენა დამცირება. იმედია, ყველა ხელოსანი სულითა და გულით შეურთდება ამ საკეთილო საქმეს.

ეს ყველა ყველა და რასა ჰფიქრობენ სახელოსნო გამგეობის უსტაბაშები? ნუ თუ არ ესმით საკეთილო მოძრაობა; ამათ ხომ ყველაფერი შეუძლიანთ. ესენი ხომ ორას სამასი კაცის მეთაურნი არიან, რატომ დაუხუჭავთ თვალნი ხედვად და ყურნი სმენად. თუ მართლა გვინდა თავი მოვიწონოთ ქვეყნის წინაშე, დღე და ღამ უნდა ვზრუნავდეთ ხალხის საბედნიეროდ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეიდან მაინც ჩვენი უსტაბაშებისა: მუშახალხს გამოაღვიძებენ კეთილი საქმის მიმართ, გაუძღვებიან წინ და მიიყოლიებენ უკან. ყოველ კვირა დღეს, როგორც ვიცით სათავად-აზნაურო ქარვასლის თეატრის დარბაზში კრება აქვთ ხოლმე, ნუ დაიზარებენ და მოვიდნენ თითო საათობით გაიგონ მთავარი აზრი საქმის მიმდინარეობისა და შეუერთდნენ ერთი-მეორეს. შეუცოდველი და შეუცდომელი მარტო ერთი ღმერთია და მანაც მიტევება ბრძანა მრავალ გზის ყველამ განიწმინდოს გული და გონება და წარსდგეს წინაშე ამხანაგობისა, შესისხლხორცდნენ ერთსულ და ერთგულ. დამერწმუნეთ, რამდენიც უნდა ვეცადნეთ, ათი და ოცი კაცი ვერას გავხდებით თუ ყველანი არ გამოვიღებთ წვლილს ჩვენსავე სასარგებლოთ. ღვთის წყალობით ეხლა განათლებული პირებიც ჩაერივნენ ჩვენს საქმეს, გაზეთებიც ჩვენზე ზრუნავენ და მთავრობაც მოხარული იქნება და ხელსაც შეგვიწყობს თუ კი რასმე სასარგებლოს დავიწყობთ და საკეთილოდ დავამთავრებთ.

ერთი ხელოსანთაგანი ს. ბ—ნ—ილი.

უსამართლო კილვა კიცხვის აშორება. ბატონო რედაქტორო! სწორედ რომ შეწუხებულ მდგომარეობაშია ყოველი გაზეთის რედაქტორი და მეტადრე ჩვენებურისა, მით რომ ვიზედაც რამე დაიწერა ან მისი საყვედურისაგან ვერ გამოდის და ან ვინც თავი გაიმართლა იმის საყვედურს სულ ველარ იშორებს თავიდგან ამა თუ იმ არა საპატივო მიზეზით, რომელსაც ხშირად რედაქციის პასუხიდგან ვტყობილობთ. მეტი გზა აღარ არის ყოველ საყედურს უნდა გაუძლოს!...

უმორჩილესად გთხოვთ ორი სიტყვით გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, რომ სევასტი გაჩეჩილაძის შესახებ „ცნობ. ფურც." დასტამბული „წეველი გლეხის" ამბები არც ერთი მე არ მეკუთვნის და ამით მოსპოთ ოჯო-პორჯო ბაასი ლაყბობა და ოხუნჯობა აღნიშნული ვაჟ-ბატონისა ჩემზედ. ამის შემდეგ ბ-ნ სევასტიმ ყოველივე უდიერი სიტყვები, ჩემზედ გამოთქმული, უკანვე მიიღოს.. (*)

მასწავლებელი აჰარის სკოლისა ტარასი მიხეილის-ძე გაჩეჩილაძე.

სიმართლის აღდგენა. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ მახლობელს №-ში—სიმართლის აღსადგენად შემდეგს: „ცნობის ფურცლის" 290 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი შემოქმედის მამასახლისზე ტროსტაძის ჰსევდონიმით, რომლის დაწერაც მე მბრალდება და მემუქრებიან კიდეცა.... ამიტომ გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, გამამართლოთ საზოგადოების წინაშე. *)

ურუშაძე.

ბათუმი. უბედური შემთხვევა. შაბათს, 13 სექტემბერს, დილის 10 საათზე, აქციზის მოხელე ლორთქიფანიძე, როცა ნავთის ქვაბებს სინჯავდა, უცაბედად გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა. გრძნობა-მიხდილი ლორთქიფანიძე მაშინათვე წაიყვანეს ბათუმის სამხედრო სამკურნალოში, სადაც ექიმებმა შესაფერი დახმარება აღმოუჩინეს.

ფოთი. დასამარხი თანხის წესდების დამტკიცება. ამას წინად რომ აქ შეიმუშავეს წესდება „დასამარხი თანხისა", უკვე პეტერბურგიდან მოგვივიდა ნება-დართული. წესდება ფრიად სასარგებლო რამ არის. ყოველს წევრს თანხისას სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეთ ან ოჯახს ეძლევა ერთხანად 500 მან. შემწეობა. საწევრო ფული მეტად მცირე და ადვილი შესატანია—3 მან. 50 კაპ. ეჭვი არ არის, ყველა აქაურნი მკვიდრნი სიამოვნებით ჩაეწერებიან.

ვუსურვებთ-რა ახალს ამხანაგობას სრულს წარმატებას, ვინატრით, რომ სხვა ჩვენს ქალაქებსა და დაბასოფლებში დაეარსებინოთ ამ გვარივე ამხანაგობანი, რომლის სარგებლობა აშკარაა, ვით დღის სინათლე.

სოხუმი. უსაქმო ახალგაზდების რაინდობა. წარსულ კვირას აქ გაჩერდენ აფხაზავას სასტუმროში ორი ქალი. ეს ამბავი შეუტყვიათ ჩვენებურს უსაქმურ რაინდებს და ნაშუაღამევის 3 საათზე მთვრალი და გახეთქილები შეცვივნულან ქალებთან, მაგრამ შეშინებული ქალები გარედ გამოვარდნილან, დაუწყვიათ წივილ-კივილი და რის ვაივაგლახით თავი დაუღწევიათ თავზე ხელ-აღებულ რაინდებისაგან. ნეტა რად არ ფიქრობენ ეგ ვაჟბატონები, რომ ერთხელაც „კოკა წყალზე გატყდება" და ავ-ზნეობისათვის ვირის აბანო არ ასცდებათ.

X **ქ. ოზურგეთი** (გურია.) წვიმის ადიდება და ზარალი. აქ დუქნებს ჩამოუდის პატარა მდინარე, რომელსაც ვეძახით მაზრის წყალს. ეს მდინარე—როცა დარები არის ძლიერ პატარაა და როდესაც წვიმების გამო ადიდდება დიდი ზარალი მოაქვს ხოლმე. ამ მდინარის პირზე მოსახლეები არიან და, რასაკვირველია, ბაღებიცა აქვთ გაშენებული. ამა თვეს მოვიდა კოკის პირული წვიმა, ადიდდა ეს წყალი და წაღეკა ბაღები, ღობეები და სახლიც კი დაანგრია. განსაკუთრებით დიდი ზარალი მიეცა სამ ოთხ მოსახლეს; აქ ამას წინეთ იყო აღძრული კითხვა შესახებ იმ მდინარის კალაპოტის შეკეთებისა, მაგრამ ჯერ ჯერობით კი არა ისმისრა სასიკეთო. ხსენებულს დღეს შუაღამეზე იგრიალა წყალმა და მთელს სოფელში გაისმოდა ზარ-დამცემი წივილ-კივილი: „გვიშველეთ, ვიხრჩობით"-ო! მაგრამ მშველელი ვინ იქნებოდა?—ყველას ერთნაირად უჭირდა და ეშინოდა...

აუცილებელ საჭიროებას შეადგენს აქაურ მკვიდრთათვის ამ მდინარის კალაპოტის შეკეთება. რომელიმე ადგილის მეპატრონე რომ დაიწყებდეს და შეაკეთებდეს თავის წილს, მერმე მის მაგალითს ყველა მიჰყვება და თავ თავის კუთვნილს შეაკეთებენ და ამით ასცდებიან მოსალოდნელს უბედურებას. იმედია არ დასტოვებენ უყურადღებოთ ამ ფრიად საჭირო საქმეს, ვისიც ჯერ არს.

მ. ლიხაურელი.

დ. მარტვილი. (სამეგრელო) მცირე შენიშვნა სამკითხველოზე. მარტვილი, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ერთ საუკეთესო სოფლად ითვლება მთელს სამეგრელოში; გარდა ამისა, რომ ამ ადგილის მდებარება საუცხოვოა, თვით სოფელიც გაშლილ-გამშვენიერებულია მკვიდრთაგან. მარტვილის ძველ-თაგან ძველი ღვთის მშობლის ეკლესია ყველასაგან ცნობილია, ორი ორ-კლასიანი სასწავლებელი იგვაქვს, მარტვილიდამ ნახევარი ვერსის მანძილზე სოფ. ნოღალევია, სადაც საუცხოვო ბაზარია და 600-მდე დუქანი(მომრიგებელი მოსამართლე გვყავს და პოლიციის ბოქაულსაც აქა აქვს ბინა; სოფ. ნოღალევში ამას წინედ დაარსდა, აქაურ ინტელიგენტთა მეცადინეობით, სამკითხველო და წიგნთ-საცავი, მაგრამ, საუბედუროდ, ვე არის ამ სამკითხველოს საქმე წეს-რიგზე მორთული: კვირაში მხოლოდ ერთს დღეს არის გაღებული, პარასკეობით; აქ ფოსტა მოაქვს პოლიციის იასაულს კვირაში ორჯერ-სამშაბათობით და პარასკებობით; ამ ნაირად ჟურნალ-გაზეთების კითხვა, ცოტა არ იყოს გვიგვიანდება, მაგრამ ამას ვინღა დაეძებს, რომ მიღებისთანავე მაინც მოიტანდნენ სამკითხველოში: გაზეთები ხან ვისა და ხან ვის სახლში მიაქვთ და თითო კვირაობით არ აბრუნებენ სამკითხველოში, ხან-დისხან სულაც ჰკარგვენ.

ურიგო არ იქმნებოდა, რომ სამკითხველოს გამგენი, თავის მეცადინობით, ყველა ამ ნაკლულოვანებას შეასწორებდნენ და სამკითხველოს საქმეს უფრო სასურველად მოაწყეს-რიგებდნენ.

მარტვილელი.

დ. ხიდისთავი (გურია). ფერშლის გადაყვანა. ეს ოთხი წელიწადი იქნება, რაც ჩვენს დაბას და მისს მახლობელ მცხოვრებთ გულ-მოდგინედ და უანგაროდ ემსახურებოდა აქაურივე მკვიდრი სამხედრო ფერშალი ონოფრე კალანდაძე. ეს ყმაწვილი არ იყო გატაცებული მარტო ქვენა ანგარიშებით. ცოდნა და გამოცდილებაც ხელს უწყობდა, რომ ხალხის ნდობა და სიყვარული დაემსახურებინა. ეხლა ყველა სწუხს მის აქედან ზუგდიდში გადაყვანას. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი კალ[illegible] ზუგდიდშიაც დაიმსახურებს ხალხის ნდობა-სიყვარულს და ზუგდიდელებიც დააფასებენ შრომას.

X.

ნიგოითი (გურია). ნიგოით-ჭანჭათის გზა. სალოდავი ნიგოით-ჭანჭათის გზა უდღეურ ვარსკლავზე არის გამოწყებული, მისს დასრულებას მგონი ეს თაობა ვერც-კი ეღირსება. რაც მის შესახებ მიწერ-მოწერას ქაღალდი მოუნდა, მთლად მოჰფენდა გასაკეთებელ გზას და ტალახსაც ამოაშრობდა. აგერ 6 წელიწადზე მეტია, რაც ეს გზა სოფ. ჭანჭათმა გამოიწყო. ცნობილმა ლანჩხუთის ბოქაულმა (მაშინდელმა) ჯაფარიძემ ვერ იცნო სახეიროთ ეს გზა, მაგრამ მასზე უმაღლესმა მთავრობამ-კი საჭიროთ დაინახა ჭანჭათს დაეხმარებოდა აკეთის, ბასილეთის, ასკანის და ნიგოითის საზოგად[illegible] რადგან ეს გზა ყველასათვის აუცილებლად საჭირო იყო. ბ-ნმა ალშიბაიამ თვით ინახულა, მაგრამ მისი დაპირება, მგონი, დაპირებათ რჩება და მარტო ჭანჭათლები უნდა შეაკეთნენ ისეთს გზას, რომელიც ნახევარ გურიას მაინც სჭირია. კარგი იქნებოდა, რომ ნიგოითის საზოგადოება მაინც დაასრულებდეს თავის ხვედრ გზას. ნუ დაივიწყებს ნიგოითის მამასახლისი, რომ მარტო თვალ-ხილულ ადამიანების გაციმბირებით სოფელს ვერ ააშენებს...

ავ-ყია.

აბასთუმანი. საერთო სავადმყოფოს საჭიროება. საუბედუროდ, ჩვენში ძლიერ გავრცელდა ავადმყოფობა: სისუსტე და სიჭლექე, რომლის წინააღმდეგაც ექიმებს თითქმის ჯერ-ჯერობით წამალი არა აქვთ-რა, გარდა წმინდა და სუფთა ჰაერისა. კარგი და სასარგებლო ჰაერი ბევრს ადგილას არის ჩვენს გულ-უხვ საქართველოში, მაგრამ განსაკუთრებით მეტად სასარგებლო ადგილად ცნობილია აბასთუმანი. მართლაცა-და მშვენიერება რამ არის: მისი ახოვანი და აქეთ-იქით გაყოლებული მთები, ფიჭვის ხეებით შემკული, რომლებიც უუმშვენიერესს და სასიამოვნო სუნს ჰფენენ, გარშემო უებარი წამალია, მეტადრე სუსტებისა და ჭლექიანებისათვის; მისი კამარა ცივი წყაროები სასარგებლოა ჯანისათვის და მუცლისათვის, ხოლო აბანოს წყლები მარგებელია ყოველის სნეულებისათვის, ამინდიც ყოველთვის ხელს უწყობს; ერთის სიტყვით, თითქოს საგანგებოთ შეუქმნია ბუნებას სნეულთათვის, მეტადრე ჭლექიანებისათვის ეს იშვიათი სამკურნალო ადგილი! დიახ, სასარგებლო ადგილია, მხოლოდ ისეთებისათვის, რომლებსაც კარგა სქელი ჯიბე აქვთ, და არა ღარიბთათვის, რადგან აქაც, როგორც ყოველგან, დიდი მოუხერხებლობა და მიუწდომელობაა. მაგრამ ღარიბთათვის რა? ასე გასინჯეთ, იმათაც-კი უძნელდებათ, რომელთაც შეუძლიანთ ხუთი-ექვსი თუმანი მოახერხონ...

ოთახს, რაც უნდა პატარა იყოს, ორ თუმან ნაკლებ ვერ იშოვით, სადილს, რაც უნდა უხეირო იყოს, ხუთმეტ მანათათ, რძე ბოთლი აბაზი, ჩაის სტაქნის ოდენა მაწონი ორი შაური, კვერცხი სამი ერთი შაური, შავი პური გირვანქა ოთხი კაპ. და

---

*) რედაქცია ამით ამოწმებს, რომ „წეველი გლეხის" სახელით დაწერილი ამბები რკინის მადანზე სრულიად არ ეკუთვნის ბ-ნ ტარასი გაჩეჩილაძეს.

*) რედაქცია ემოწმება ბ-ნ ურუშაძეს, რომ ზემოდ ხსენებული წერილი მას არ ეკუთვნის, თან დიდის მწუხარებით უნდა აღნიშნოს ის გარემოება, რომ დღე ისე არ გავა ამ გვარი „სიმართლის აღდგენა" არ იბეჭდებოდეს ჩვენ გაზეთში. რა უბედურებაა! ნუ თუ გაზეთის მოამბეს ამა თუ იმ შენიშვნის დაწერისათვის მუქარა და ჩაქოლვა ეკუთვნის!. ასე რომ იყოს, მაშინ ხომ არც ერთს მოამბეს არ ეცხოვრება სოფლად უშიშრად... რედაქ.

სხვა, რაც-კი სხვა ქალაქებიდან მოტანილია, ხომ ერთი სამად ღირს; ერთის სიტყვით, სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, თვეში ექვსი თუმანი მაინც უნდა გქონდესთ და თუ აბანოთიც ისარგებლებ, მაშინ არც რვა თუმანი გეყოფათ.

ეხლა გზა! ასე გასინჯეთ, ტფილისიდან ბორჯომამდის რკინის გზით არის მანეთ ნახევარი და იქიდან აბასთუმნამდის-კი, რომელიც მეოთხედი გზა არც-კი უნდა გაიაროთ და თითქმის ხუთ მანათამდის გიჯდებათ. გზა კიდევ ჯანი გავარდეს, როგორც იყოს მიხვალთ, მაგრამ თქვენ ახლა შიგ აბასთუმანში დააკვირდით, რა დაბრკოლებაა და მის ნაცვლად, რომ მორჩეთ, რისთვისაც იმეტებთ ხარჯს, შესაძლოა უარესად გახდეთ, რადგან არც რიგიანი სადგომია, არც ნოყიერი საჭმელ-სასმელი და სხვა.

აბასთუმანი დიახაც კარგი და სასარგებლოა გულითა და ფილტვებით დასუსტებულებისათვის, მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალა შეგწევთ და კარგა სქელი ჯიბეც გაქვთ. ხოლო ისინი, რომელნიც სასტუმროებში არიან და სადილობენ სასადილოებში, იმათ მაინცა და მაინც განკურნების იმედი ნაკლებ უნდა ჰქონდეთ...

ამისათვის უცილობლად საჭიროა ისეთი ადგილი, სადაც იქნება ყველაფერი: სადგომი, ყოველი სანოვაგე, საჭმელ-სასმელი, ექიმების და ვერშლების ზედამხედველობა და აგრეთვე მოვლაც გამოცდილ მოსამსახურეთაგან. მაშინ ავადმყოფიც ადვილად განიკურნება. ამისთანა ადგილი უნდა იყვეს საერთო სადგომი—სამკურნალო, რომელიც საჭიროა დაარსდეს აბასთუმანში არა კერძო ვისმეს, არამედ საექიმო დაწესებულების მეთაურობით.

როგორც ნამდვილის წყაროებიდან შევიტყვე, აბასთუმანი სამკურნალო წყლებით გადადის სამხედრო საექიმო უწყების ხელში და იმედია, რომ დღევანდელი გამგე აბასთუმნის წყლებისა პატივცემული ექიმი ი. კობაძე იშუამდგომლებს, სადაც ჯერ არს, რომ დაარსდეს საერთო სამკურნალო სადგომი აბასთუმანში, რითაც დიდათ დაავალებს ყველა ავადმყოფებს. მაშინ შეეძლებათ ღარიბებმაც ისარგებლონ. ვისურვებთ, პატივცემულს ექიმს ი. კობაძეს აურულდეს თავისი წადილი. მას დიდი ხანია აზრადაც აქვს, დააარსოს ღარიბთათვის სადგომი-საავადმყოფო, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ხელი-კი შეუშალეს...

ს. ტარუაშვილი.

⁂ **გუდაუთი** (აფხაზეთი). **თავგედა ყაჩაღის მოკვლა.** ს. აჩანდარაში ცხრა ამა თვეს ღამით ვიღაცას მოუკლავს თავზედ ხელ-აღებული ყაზაკი სმელ ალტა-ჩიპა, რომელიც მას წინად შეიპყრეს და დარაჯს გაუსხლტა ხელიდან. ამიტომ დარაჯიც სამსახურიდგან დაითხოვეს, რადგანაც მოყვარე იყო ყაჩაღისაო, როგორც ამბობდა სოფელი, ალტა-ჩიპას პოლიციაც თავ-გამოდებით სდევნიდა დასაჭერად და თვით სოფელებიც. ყველა მოწადინებული იყო როგორმე შეეპყროთ ან მოეკლათ თავხედი სტუმარი, და კიდევაც ასრულეს, მაგრამ მკვლელი ჯერ ვერ აღმოაჩინეს; ვინაიდგანაც სოფლის შესახვევ გზაზედ მკვდარი იპოვნეს მწყესებმა, რომელიც მაშინათვე შეატყობიეს გუდაუთის უფროსს სტაროსელსკის, რომელიც თავის მხლებითურთ წავიდა მაშინათვე განკარგულების მოსახდენად, ამასთან სოფელსაც შვება დაეტყო თითქოს ეხლამდის ეძინათო, ორი კიდევ უფრო მედგარი და თავზედ ხელ-აღებული ავაზაკები არიანო, ამბობენ. და ამათაც ეგეთი დღე თუ დააყენეს, შემდეგ იმედია, როგორც აფხაზები ისთე სხვა იქაური მცხოვრებნიც დაადგებიან კეთილ გზას, რითაც მშვიდობიანობა ჩამოვარდება მათში და სხვანი მაინც ვერ გაბედავენ ბოროტმოქმედებას და ყაჩაღობას, რომელსაც არავითარი სიკეთე არ მოაქვს თვით ბოროტის ჩამდენისათვის.

გ. ბა—ძე.

⁂ **სოფ. ქვემო-მაჩხაანი.** (ქიზიყი) **სიბინძურე ყასბებისაგან.** ისეთი დღე არ გავა, რომ ჩვენს სოფელში ორი-სამი ძროხა არ დაიკლას, —ცხვარი და ხბო კიდევ სხვა. ეს ამოტელა საკლავი იხოცება შიგ სოფელშივე:—ყველა მედუქნე თავის დუქნის წინ ხოცავს საქონელს და იქვე ღობის ძირებში ჰყრიან შიგნეულს. ერთი სიტყვით თავიანთი ეზოები სანაგვეთ აქვთ გამხდარი, რის გამოც საშინელი უსუფთაობაა გზებზედ და საძაგელი სუნი. ნამეტნავათ განირჩევიან თავიანთი უსუფთაობით ორი დუქანი, ერთი ი. ზარაფიშვილისა და მეორეც კ. ნადირაშვილისა, რომლის „დახლიდარიც“ მეტად გაქნილი და მოხერხებულია. ურიგო არ იქნებოდა ჩვენს მამასახლისს თვალ-ყური ეჭიროს ჩვენს მიკიტან-ყასბებზედ და ცოტა სუფთათ შაანახვინოს ხოლმე დუქნები, და ან კიდენვე სადმე ადგილი მიუჩემოს სოფელს განაპირას, რომ სუყველა ყასბები იქ ხოცავდნენ საკლავს, თორემ რასა ჰგავს ასეთი უსუფთაობა და ყურის-მიუგდებლობა! ამასთანავე ვთხოვთ, პატივცემულ მამასახლის, რომ მომეტებული ყურადღება იქონიოს კ. ნადირაშვილის დუქანზედ, რომლის დუქანში მუდამ დღე ჩხუბი და აყალ-მაყალია და ათას უშვერ სიტყვებს ასმენენ გამვლელ-გამომვლელ მანდილოსანთ.

აქვე არ შემიძლიან დავივიწყო ქიზიყის დეპო, რომლის გამგეობის წევრნი დიდი მადლობის ღირსნი არიან. აქ მუდამ დღე იშოვება მშვენიერი ხორცი, და ამასთანავე სისუფთავე საუცხოვო და საგანგებოა. ურიგო არ იქნებოდა, ჩვენს მამასახლისს ჩვენის მედუქნეებისთვის მიეთითებინა მაგალითად დეპოზე.

აპოლონი.

⁂ **ს. გურძემი.** (სამეგრელო). დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ზემო სამეგრელოში ცოტაოდენი სიფხიზლე დაეტყო სწავლა განათლების წინ მსვლელობის საქმეს. ღვთით აქა-იქ ჩვენც გვიჩნდება იმისთანა პირები, რომელთაც გული შესტკივათ ქვეყანაზე, სულით და გულით ცდილობენ ხალხის ზნეობითი და ქონებითი მდგომარეობა გააუმჯობესონ, მაგრამ ვერ იქმნა ვერ დავახწიეთ თავი ჩვენს დამღუპველ სენს—ქიშპობას და დას-დასობას; ყველა თავისკენ იწევა. ნაცვლად იმისა, რომ ერთი მეორეს მხარს აძლევდენ, ურთი-ერთ შორის დაუსრულებელი აურ-ზაური და უთანხმოება მოსდით. ერთი გაიძახის სკოლა აქ გავაშენოთო, მეორე—იქ გავაშენოთო, და ერთი საზოგადოება იყოფება რამოდენიმე უთანხმო დასად და ებრძვიან ერთი მეორეს, აწუხებენ მთავრობას სხვა-და-სხვა თხოვნებით და საჩივრებით. ერთი და ორი დღის გასათავებელ საქმეს ორი და სამი წელიწადი უნდებათ.

ს. კიწიაში მ. ბლოლ-ჩინი კ. ჩაჩიბაიისა და სამიოდე სხვა ინტელიგენტების თაოსნობით დიდის შრომის და ხარჯების შემდეგ ნება მიიღეს გაეხსნათ კიწიის საზოგადოებაში ორ კლასიანი სამრევლო სკოლა. ამ სკოლის დაარსებამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია საზოგადოებაში ადგილის გამორჩევის გამო. ზოგიერთებს სურდათ თავის ეზოში ამოერჩიათ ასაშენებელი ადგილი, იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოებისათვის მიეყიდათ მამასისხლად, ხოლო მეორე მხარე-კი უსასყიდლოთ უთმობდა, მაგრამ ხალხი იმდენად ბრმა იყო, რომ უფრო პირველს მხარეს ეტანებოდა.

ბოლოს იმ ზომამდის მიიყვანეს ზოგიერთ ვაქბატონებმა საქმე, რომ თითქმის უარი განაცხადეს სკოლის დაარსებისათვის. მაგრამ მთავრობამ თავისი იხმარა და სკოლა დამტკიცდა იქ, სადაც საუმჯობესო იყო როგორც ადგილის მდებარეობით, აგრეთვე ჰაერითაც. მადლობის ღირსნი არიან ის პირნი, რომელნიც ამ საქმეში გულ-მხურვალედ მონაწილეობას იღებდა და აგრეთვე ის პირნიც, რომლებმაც 10—12 ქცევა ადგილი შესწირა საზოგადოებას უსასყიდლოთ, სკოლისათვის.

თამაკონის საზოგადოებამ შარშან მთავრობას მიართვა თხოვნა, ნება მიეცათ მათთვის ორკლასიანი ნორმალური სკოლის გახსნისა. თამაკონის საზოგადოებას ნება დართეს სკოლა გაეხსნათ, მაგრამ როგორც კიწიაში, აქაც უარესი დავიდარაბა ასტყდა და იმ ზომამდის მივიდა საქმე, რომ უმეტესმა ნაწილმა პირდაპირ უარი განაცხადა და დღეს ამ სკოლის საქმე ბეწვის ხიდზე კიდია, თუ კი რომ მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია.

აი ამ ნაირად ერთი მეორის ჯიბრობით ჩვენი მხარის მცხოვრებნი დაქვეითებულნი სხვებზე. გვიან მიხვდება ჩვენი მდაბიო ხალხი, თუ რა მავნებელია ზოგიერთი ცრუ და მატყუარა ვაქბატონების ქადაგება.

მაფშალია.

⁂ **ს. საჩიჯაო** (სამეგრელო). **ზარ-ნახულის განადგურება.** ჩვენში სიმიდი გვალვებისა გამო ძალიან გვიან, თიბათვის შუა რიცხვებში, დაითესა, მაგრამ აქაური მდიდარი ბუნების წყალობით მალე მშვენიერი პირი იჩინა: 25 აგვისტოსათვის დატაროვდა და დაფოჩვდა და მუშა ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა მაგრამ მხიარულება მალე მწუხარებათ გადაექცა საწყალ გლეხ-კაცს: მისდა საუბედუროდ დაფოჩვებულ ტაროებს რაღაც შავი მატლი გაუჩნდა. მატლი ჩნდება შიგ ნაქურჩელაში; ჯერ მოსჭამს ფოჩვებს და მერე მუსრს ავლებს სიმინდის მარცვლებსაც. 5 სეკტემბერის წყალ დიდობამ გაარკეცა ეგ უბედურება. 1 სეკტემბერს, ღამის 12 საათი იქნებოდა, კოკის პირული წვიმა დაუშინა; 4 დღე თითქმის განუწყვეტლივ დღე და ღამე იწვიმა ნიაღვარებისაგან მინდვრებში გამდგარი და იყო ტბა-მორევი. აღიდდა მდინარეები და ნაპირებიდან გადვიდნენ; მდ. ხობი მოვარდა გაშმაგებული, აქაური წყალიც მიიმიტა და არე-მარე და ჭირნახული წალეკა და გაანადგურა. უბედურობა ის არის, რომ სახნავ-სათესი ადგილებიც თავის კალაპოტში ჩაიყოლია. ეხლა გულხელ დაკრეფილი, თვალ-ცრემლიანი საცხოვრებელ-საბადებელზე ხელ აღებული, გლეხი ცოლ-შვილით შესტირის თავის უბედურს ბედს.

ისიდორე შიოსძე.

⁂ **ს. შემოქმედი** (გურია.) როგორც თქვენს გაზეთში იყო მოხსენებული, აქ მოხდა საზოგადოების ყრილობა და იყო თათბირი იმაზე, თუ რა ღონე ეღონათ, რომ მოეშორებინათ თავიდგან საზოგადოების მავნე პირები. შემდეგ დიდი რჩევისა და ლაპარაკისა საზოგადოებამ ერთ ხმათ აღიარა ცუდი ზნის რამოდენიმე პირი და დაადგინა მათი სამის წლით გადასახლება ოზურგეთის მაზრიდან.

ეხლა, როგორც გავიგეთ, შემოქმედის მამასახლისისა და კიდევ მაზრაში ძალა მქონის წყალობით შენდობა მიუღიათ ზემოხსენებულ ,,მავნე პირებს'' და განაგრძობენ ადგილობრივ ,,მშვიდობიანად'' ცხოვრებას. ნუ თუ ამ შემთხვევაში საზოგადოებას არა აქვს ხმა? და თუ აქვს—რატომ მას არ ეკითხებიან? ამასთანავე, ჩემის აზრით საჭიროა პასუხი აგონ შენდობის გამცემმა პირებმა, იმ შემთხვევაში თუ რაიმე ზარალი მოხდა სოფელ შემოქმედის საზოგადოებაში.

ინჩინი.

სამეცნიერო ამბები

ახალი გამოგონება. ერთმა გერმანიის მეხანიკოსმა გამოიგონა ისეთი მანქანა, რომლის შემწეობითაც ერთს წუთს შეიძლება გამოუშვას ცხენები ეტლიდამ. ეს მანქანა ძალიან სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც ეტლის ცხენები დაფრთხებიან: ცხენები შეიძლება უცებ გამოუშვას მეეტლემ და ამით გადაარჩინოს უბედურებისაგან ეტლი და მგზავრებიც. მანქანა განიხილა მეხანიკოსების და მეეტლეებისაგან შემდგარმა კომისიამ, რომელმაც ძალიან მოიწონა და საყოველთაოდ გასავრცელებლად იცნო.

განცხადებანი

გამოცდილი
მზარეული
ეძებს ადგილს ოჯახში
შეუძლია აგრეთვე ხელზე სამსახური
მოიკითხონ ვერაზე «მოსკოვის ნომრებში» № 7.
ОПЫТНЫЙ ПОВАРЪ
ищетъ мѣста (5—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა
[illegible] ტფილისის ქალაქის გამგეობის შენობაში, ერევნის მოედანზე ქალაქისვე შენობაში გაიმართება საჯარო ვაჭრობა იჯარით გაცემაზე ავლაბრის საგარაკო საძოვარი ადგილისა ზომით 1829 დესეტინა და 460 ოთხ-კუთხი საჟენი, იჯარის ვადა სამი წლით არის 1898 წლის პირველ იანვრიდგან. (3—2)

ბუღალტერიის შესწავლა
ვისაც საფუძვლიანათ სურს შეისწავლოს
სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკის უფროსს ბუღალტერს ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.
ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა 60 მან.
КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи,
3) Ариѳметики на счетахъ,
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній, —преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.
ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.
Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. АТТЕСТАТЫ! за спу шныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.
Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.
(100—67)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 Сентября 1897 г.
სტამბა ქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია